ახალი
# სხივი
სამშაბათი, 2 მარტი 1910 წ. № 22
**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.
განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ახალი სხივი“**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

**სახაზინო თეატრი**

—ორი ლექცია—

**ა. ნ. ლისოვსკისა**

| სამშაბათს 2 მარტს | ოთხშაბათს 3 მარტს |
|---|---|
| **ინდივიდუალიზმი** | **კოლლექტივიზმი** |
| (თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობა) | (რუსული ლიტერატურა) |
| განყ. I. | განყ. 1-ლი |
| **СИНЯЯ ПТИЦА** | მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის და ევროპის ლიტერატურა და ცხოვრება. |
| მე-XXX საუკუნის ლიტერატურული ევოლიუცია. საზოგადოებრივი და პიროვნებითი პრობლემები. კოლლექტივიზმი და ინდივიდუალიზმი. | განყ. მე-2 |
| განყ. II. | კოლლექტივიზმი **გორკის** და **ანდრეევის** შემოქმედებაში |
| **მეტერლინკი** | განყ. მე-3. |
| გაორებულ პიროვნების ტრაგედია ირრაციონალური აემოქმედება (ბრმები) უაილები (დორიანა გრეის სურათი) | პიროვნების პროტესტი „**სანინი**“ არციბაშევისა. |
| **პშიბიშევსკი** | დასაწყისი საღამოს 8 საათზე ● ფასები ძლიერ დაკლებულია—20 კ-დან 2 მ-დე. |
| განყ. III. | დაწვრილებით პროგრამებში |
| გზა განკურნებისაკენ. ედუტ **გაბასენი** (პან) და **მეტერლინკის ლურჯი ფრინველი** | 4-ს, 5-ს, 6-ს, და 7 მარტს ბ. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციებს ქუთაისში. |

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე განმარტებით

**„კავკასიის ესპერანტისტი“**

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პროსპ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

**წელიწადში 1 მანეთი**

სხვა ქალაქებიდან: **Тифлисъ, Панасевича л. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.**

## თფ. ქალ. თვითმართველობა ამით აუწყებს,

რომ 7 მარტს, დღით 12 საათზე ახალხო სახლის სადგომში დანიშნულია თანახმათ 1906 წლის 15 ნოემბრის კანონისა, თფილისის სავაჭრო დაწესებულებებში მოსამსახურეთა (პრიკაზჩიკების) კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს თავიანთ შორის წარმომადგენელი შერეულ კომისიაში, რომლის მიზანია გამომუშავება სავალდებულო დადგენილებათა შესახებ დასახელებულ დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების უზრუნველ ყოფისა.

კრებაზე დასწრების უფლება ეძლევათ სრულ წლოვან მოსამსახურეთ (პრიკაზჩიკებს), თითოს თითეულ სავაჭრო დაწესებულებიდან, რომელიც არჩეული იქნება, როგორც წარმოდგენილი, იმავე დაწესებულების სრული წლოვან მოსამსახურეთაგან.

კრების მონაწილენი ვალდებულნი არიან წარუდგინონ შესვლისას მისი ამრჩევლების მიერ ხელმოწერილი რწმუნების ქაღალდი კრებაზე მონაწილეობის მიღება ეძლევათ მხოლოდ იმ სავაჭრო დაწესებულებების «პრიკაზჩიკებს», რომელთაც 1909 წელს დაევალათ სამრეწველო გადასახადს გაღება. (3—2)

კბილის ექიმი

**რომანიშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვ-რის დალმართი სახ. 15.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

**„ცინკოგრაფია“**

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქ. სახლი № 12 ზემო სართულში. (0—

## პრესა

მეორშაბათ „ივერიის“ შემდეგ ორშაბათობით გამოსვლა იწყო „ხალხმა“. პირველი ნომერი გაზეთი „ხალხი“-სა სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდა განსვენებული „ივერი“-საგან. პირველი ნომერის შემდეგ კი გაზეთმა „კანიც გამოიცვალა და გულიც“, მაგრამ ამ „გულის“ გამოცნობა დღემდის შეუძლებელი იყო. დღეს კი ბ. მენავის წერილით ცოტა რამეს მაინც ვტყობილობთ. ფაქტი მცირეა, მარა ბევრის მთქმელი.

ბ. მენავის უკანასკნელ (მე-7-ე) წერილში ბევრი ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტებია, მარა ამ ხელათ დავკმაყოფილდებით ერთი საყურადღებო ცნობით. თავის მოკლე ისტორიული ექსკურსიის შემდეგ—ბ. მენავე დაასკვნის:

**მესამეცე წლებიდან წარმოიშვა მეორე თაობა, რომელიც სასტიკათ ამხედრდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და ახალ კალაპოტში დაარუდა ეროვნული გულის ცემა;**

**ოთხმოცდამეათე წლებში წარმოიშვა მესამე თაობა, რომელმაც ახალი გეზი მისცა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და აზროვნებას.**

**დღეს კი, რევოლიუციის შემდეგ, ისახება და ფეხს იკიდებს, თუ გნებავთ მეოთხე დასი, რომელმაც „ნამდვილის უტყუარობით ალლო აართოს ჩვენს ეროვნულს სულის-წრაფვას და იგი ახლო მომავალში გახდება კიდეც დედა ბურჯათ მთელის ქართველურის მაჯის ცემისა.** (ეს უკანასკნელი ხაზი ჩვენია).

ვინ არის ეს „მეოთხე დასი“, რომელიც ,,ახლო მომავალში გახდება დედა ბურჯათ ქართველური მაჯის ცემისა“ ან სად ჩაისახა, როდის და რაში გამოიხატება მისი ,,ნამდვილი ალლოს ალება“. ეს ჯერ არ ვიცით და იმედი უნდა ვიქონიოთ, ბ. მენავე არ დააყოვნებს გაგვაცნოს ის. ბ. მენავე მესამე დასს უკვე ისტორიას აბარებს, მის მისიას დასრულებულათ აღიარებს და მის ტახტზე ეს რაღაც მეოთხე დასია ის აჰყავს, რომლის მესვეურობით

**«ფოლადდება ის უკვდავი და გარდუვალი გრძნობა, რომელიც გამოჭედავს ჩვენს ეროვნულ უკვდავებას და მთლიან შემოქმედებას.**

მოვა მესსია დაააშენებს ქვეყანას! გზა მიეცით! მეოთხე დასი მოდის, რომელიც ,,გამოსჭედს ჩვენს უკვდავებას“! საიდან მოდის ეს დასი, სად მიდის და რომელ ,,აღთქმის ქვეყანაში“ დაიბანაკებს და „უკვდავების წყაროს“ დააწაფებს ის ,,ზღვა ხალხს“,—ეს ჯერ ბ. მენავის საიდუმლოებას შეადგენს.

დასასრულ ბ. მენავე მედგრათ მოუწოდებს ყველას ,,აიღონ ლოგინი თვისი და შეუდგნენ“ მეოთხე დასსა მას.

**„ყველამ გაბედულის შეუდრკელობით თავი უნდა მოიყაროს ამ მეოთხე დასის დროშის ქვეშ,—ეს ერთად ერთი, უტყუარი გზაა ჩვენი ხალხის უკვდავის წინსვლისა, ესაა თავდები მერმისის გაძლიერებისა...**

მაშ ასე. ,,უტყუარი გზა“ მხოლოდ მეოთხე დასს უნახავს, მარა ჯერ პირველ ყოვლისა საჭიროა ბ. მენავემ ეს უტყუარი გზა გაგვაცნოს და აი, როცა ის ამ გზას გაგვაცნობს, ჩვენც მაშინ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ამ უტყუარი გზის და მის აღმომჩენი მეოთხე დასის შესახებ და მაშინ უფრო ნათლათ დავინახავთ, თუ რამდენათ ,,უტყუარია“ ეს გზა და რომელ ,,აღთქმის ქვეყანაში“ მიჰყევხართ მას.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** რომ რუსეთის ჯარი აიძულონ გავიდეს თავრიზიდან, სათარხანის და კავკასიელ ფიდაების თათბირზე გადასწყვიტეს ძალით დახურონ ბაზარი, რომ რუსეთის ჯარმა სურსათი ველარ იშოვნოს. მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება. პროკლამაციებით მოუწოდებენ ხალხს დაეხმაროს სახელმწიფოს შინაურ სესხით. სესხის პირობებზე კი არაფერია ნათქვამი.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ანატოლიის რკინის გზის დირექტორმა კაუტცმა თავის სეკუნდანტათ დანიშნა გერმანიის საელჩოში მოსამსახურე გროსსი და „ფრან. ცაიტ.“ კორესპონდენტი ვეიტცი, სეკუნდანტებს ამათ ჩაუარა ცდამ შერიგება მოეხდინათ. გადასწყვიტეს მიმართონ გერმანიის სამხედრო აგენტს. დეპუტატთა პალატამ მიიღო ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედი ნაწილი.

— ბულგარეთის მეფე 7 მარტს მივა კონსტანტინოპოლში. მის შესახვედრათ დიდის ამბით ემზადებიან.

ოსმალეთის კონსტიტუციის ავტორ მითხად ფაშის შვილმა ალი ხაიდარმა საკასაციო სასამართლოში თხოვნა შეიტანა გადასინჯონ განსვენებულ მამის პროცესი.

### საზღვარ-გარეთ

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. საღამოს სხდომაზე ტარნოვსკაია ლაპარაკობს თავის ბავშვობის შესახებ. როგორ გაჰყვა ის ცოლათ ტარნოვსკის და შემდეგ როგორ ეწეოდა თავაშვებულ ცხოვრებას, ყავდა საყვარლები და მთელ დღე-ღამეს კლუბებში ატარებდა. იტალიისკენ მოგზაურობის დროს ის სახადით გახდა ავათ, რომში ძმისაგან დეპეშა მიიღო, რომ ქმარმა თავი მოიკლა, რადგან ეგზამენი ვერ დაიჭირა. ტარნოვსკაია შენიშნავს, რომ მას ტყუილათ აბრალებენ თითქო ის ყოფილიყოს ქმრის თავის მოკვლის მიზეზი. 1899 წელს მოსკოვში ის გაეცნო პრილიუკოვს და მის ცოლს. ამ დროს ის ეპილეპსიური ავათმყოფობით იყო შეპყრობილი. 1899 წ. დედამთილის სიკვდილის შემდეგ ის ქმართან ერთათ დაესახლა კიევში. იქ ქმარი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხელ ტარნოვსკაიამ ის საყვარელთან ერთათ დაიჭირა და თავი დაანება. ჩქარა ის სისხლის დენით ავათ გახდა და ორი წელიწადი ავათმყოფობდა. ის შეურიგდა ქმარს და გაემგზავრა ნიცცაში. იქ გაეცნო კომაროვსკის და რუსეთში დაბრუნდა წყლებზე საქჭიმოთ. ქმარი ნიცცაში დარჩა. მას და კომაროვსკის შორის დუელი მოხდა საყვარლის გულისთვის. ტარნოვსკაია შენიშნავს, რომ მას ტყუილათ აბრალებენ თითქო ის ყოფილიყოს ამ დუელის მიზეზი. 1903 წელს კიევში ის გაეცნო ბორჟევსკის, რომელსაც ის უყვარდა. ტარნოვსკაია დიდხანს ეწინააღმდეგობა, მაგრამ ბოლოს დაუახლოვდა ბორჟევსკისა და მის ქმარს შორის დუელი არ მომხდარა. მხოლოდ ერთ საღამოს ქმარი შეურიგდა ბორჟევსკის, გადაკოცნეს ერთმანეთი და უცბათ მას რევოლვერი დაახალა. ბორჟევსკი შემდეგ მენინგიტით მოკვდა. ტარნოვსკაია უვლიდა მას. ის მის ხელზე მოკვდა. (ტარნოვსკაია ჩუმათ სტირის).

**ბერლინი.** რეიხსტაგი. გზათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მინისტრმა ს.-დემოკრატების საპასუხოთ ხელმწიფის მატარებლის გავლის დროს მოძრაობის შეჩერების შესახებ სთქვა, რომ მოძრაობის შეჩერებას მეტი ხარჯები არ გამოუწვევია და ეს სავალდებულო იყო, რადგან ასე იქცევიან მუდამ მეფეების გავლის დროსო.

**პარიზი.** ნევერში დაიჭირეს დუეზის ყოფილი თანამშრომელი.

**კალკუტა.** ყაჩაღების დაჭერის დროს მოკლეს ინგლისელი აფიცერი. ყაჩაღთაგან ექვსი მოკლეს, მათ შორის ბელადი და ექვსი დასჭრეს და დაიჭირეს.

**პარიზი.** პალატაში კონგრეგაციულ ქონებათა ლიკვიდატორების მოქმედების შესახებ კამათის დროს ჟორესმა განაცხადა, რომ ლეკუტიურიემ ერთ სავაჭრო სახლს 60,000 ფრანკი გამოართვა და რვა მილიონ ფრანკათ ღირებული გრანდ შარტრეზი—500,000 ფრანკათ ჩაუგდო ხელში. ბრიანმა განაცხადა, რომ იღებს თავის თავზე კანტროლი გაუწიოს კონგრეგაციის ქონებათა ლიკვიდაციას. მთავრობამ გადასწყვიტა დაუცადოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ლეკუტიურეს მოქმედებით არავის უსარგებლია. ლეკუტიურიეს არავისთვის არავითარი სამსახური არ გაუწევია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სამართალში მისცემენ. დოკუმენტების კითხვის დროს ბრიანი ამტკიცებს, რომ მუდამ უჩვენებდა იმ უწესოებაზე, რომელიც ლიკვიდაციის დროს ხდებოდა, კერძოთ დუეზის წინააღმდეგ ზომების მიღებაზე. ბრიანის პირველ გამოკვლევით დუეზამ ლონეგამოლეულ ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა. ხოლო როცა გამოირკვა მისი უსინდისობა, ბრიანი სასტიკათ მოექცა... (გამოტოვებულია).

სამთო მუშათა კონგრესმა ალბში შეაერთა ყველა სინდიკატები.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. დილის სხდომას დაესწრო პრილუკოვი მას ავათმყოფის სახე აქვს. თავმჯდომარე კითხვებს კითხვებზე აძლევს დეპეშების შესახებ. ის ყურადღებას აქცევს ნაუმოვისადმი ტარნოვსკაიას დეპეშას, სადაც მტკიცდება რომ ტარნოვსკაიამ გადასწყვიტა კომაროვსკის ცოლობა. ეს დეპეშა უნდა ამტკიცებდეს ტარნოვსკაიას უდანაშაულობას. მეორე დეპეშით, რომელიც ნაუმოვის სახელით გაუგზავნა პრილუკოვმა, ის ემუქრებოდა ტარნოვსკაიას, რომ ყოველივე ზომებს მიიღებდა, არ გაყოლოდა ის კომაროვსკის. მეორე დეპეშით პრილუკოვი ეკითხება ტარნოვსკაიას რომელი საჭმელი ურჩევნია მას—ცივი, თუ ცხელი—სხვა სიტყვებით—რომელი იარაღით მოეკლა კომაროვსკი. ხანჯლით თუ რევოლვერით. ტარნოვსკაიამ დეპეშითვე უპასუხა: „ცხელი საჭმელი“-ო.

### რუსეთი.

**გროდნო.** ქუჩაში სალდათმა სასიკვდილოთ დასჭრა დანით არტილერიის ბრიგადის პოლკოვნიკი ნიკიტინი.

**მოგილევი.** შკლოვსა და კოპისეს შუა მატარებელში თორმეტმა კატორღელმა და ორმა გადასახლეაულმა ტუსაღმა, უცბათ ჩააქრო ლამპა, წაართვა მცველებს რევოლვერი და ასტყდა სროლა. მოკვდა სალდათი და ერთი კატორღელი, დაიჭრა ათი კატორღელი და ორი სალდათი.

**ლოძი.** დაიწვა ძმები დერინგის ფაბრიკა. ზარალი ორასი ათასი მანეთია.

**ხარკოვი.** სამხედრო საოლქო სასამართლომ დახურულ კარებში განიხილა ორმოც სოც.-რევოლიუციონერის საქმე. 16 გადაუწყვიტა ათიდან რვა წლამდე კატორღა, 11 გადასახლება და დანარჩენი გაამართლა.

**პეტერბურგი.** მწერალთა სრულიად რუსეთის სიეზდის მომწყობი კომიტეტი აცხადებს, რომ ვისაც სიეზდზე მონაწილეობის მიღება უნდა, შეატყობინონ არა უგვიანეს 15 მარტისა ამ ადრესით: „სოვრ. მირ.“ კომიტეტის წევრ გრადოვსკის, ზაგოროდნი 4, კომიტეტის წევრ ვოდოვოზოვს ტუჩკოვა ნაბერეჟნაია 2.

**ხაბაროვსკი.** გუშინ დღით ქალაქიდან 15 ვერსის მანძილზე, რკინის გზის ლიანდაგზე ვიღაც უცნობმა მოკლა პრიამურის რკინის გზის როტის კამანდირი იგნატიევი.

**ვორონეჟი.** აუარებელი ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს სრედნი კარაჩალაში ბრბოს მიერ მოკლული დარაჯი და ურიადნიკი. თავდასხმა და მკვლელობა გამოიწვია იმან, თითქო ურიადნიკს ერთი გლეხის შვილისთვის ეცემოს ჩვენების ჩამორთმევის დროს. ეს მართალი აღარ გამოდგა. ბავშვს არავითარი ნიშნები არ ქონდა ცემის. მთავარი მკვლელები აღმოაჩინეს, დაიჭირეს ოცი კაცი. ბევრს იჭერენ.

## ,,სიმართლე იკბინება“.

სიმართლე იკბინებაო,—რუსები ამბობენ, და მართლაც სიმართლემ ძლიერ დაკბინა თფილისის ჟურნალ-გაზეთები. ეს სიმართლე კი სთქვა ნ. ცერცვაძემ თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე.

ჟურნალისტებს ძლიერ ეჩქარებათ ყიფიან-ნაგურსკის გასამართლება. თუ არ უბრალო შემთხვევა, ეს გასამართლება უკვე გათავებული იქნებოდა პირველ კრებაზევე, როდესაც საქმე სრულებით გამოურკვეველი იყო. კრების უმრავლესობამ გადასწყვიტა მაშინვე გაეთავებინათ საქმე და განაჩენი გამოეტანათ ყიფიან-ნაგურსკისათვის.

მერე? განა ამ ორი პირის გასამართლებაშია საქმე? განა „პრესის სინდიკატის“ საქმე მხოლოდ და მხოლოდ ამ ორი პირის ირგვლივ ტრიალებს? განა ეს ისეთი საქმე არ არის, რომელმაც დღეს ყველასათვის ცხად უნდა ჰყოს, რას წარმოადგენს თფილისის მწერლობა, რას წარმოადგენს თფილისის ქალაქის თვითმართველობა, რას და ვის ემსახურებიან თფილისის ეგრედ წოდებულნი საზოგადო მოღვაწეები?

აბა, ჰკითხეთ ბ. ცერცვაძეს! ის ბევრ

რამეს ლაპარაკობს, კითხვას ყოველ მხრივ ეხება, ის არავის არ ინდობს, ის ყველას ჰკბენს, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, მისი სიმართლე მწარეთ იკბინება.

ჩვენი საზოგადო დაწესებულებების მოღვაწეები,—ჩვენ აქ ალაგ-ალაგ თვით ნ. ცერცვაძეს აალაპარაკებთ,—ჟურნალისტები ან ყოფილი ჟურნალისტები არიან; მათ და მწერლობას შორის ერთი ძაფია გაბმული და აბა სინჯეთ მათი „მოღვაწეობის" გამოაშკარავება, დაგმობა! ამ შემთხვევაში რედაქციის კარები თქვენთვის დახურულია. ყველას თავისი ქომაგი ჰყავს; ერთი-მეორეს ხელს აფარებენ; ნაგავს ქოხიდან არ გამოგატანინებენ; ბოროტების მხილების საშვალებას არ მოგცემენ.

ის ჟურნალისტთა საზოგადოება, რომელიც ასე აუღელვებია ყიფიან-ნაგურსკის მოქმედებას, სხვა უფრო დიდი ბოროტების ჩადენის დროს სდუმს და გულზე ხელ-დაკრეფილია. ითრგუნება მცხოვრებლების ინტერესები, მცხოვრებელი მსხვერპლათ ეწირება ბელგიის უსახელო საზოგადოებას,—ქალაქის თვითმართველობა სდუმს და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთან ქეიფობს.

ხმოსანი ტრამვაის მოსამსახურეა და ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას.

ტრამვაის მუშები იტანჯებიან, დრტვინავენ, იბრძვიან დირექციასთან; მოდის ბ. ბატაილი და „ვენი, ვიდი ვიცი", (მოველ ვნახე და დავიპყარ). მან უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო მუშები, მან მოუსპო ბრძოლის ყოველგვარი საშვალება. ქალაქი? ქალაქი ეალერსება და კეთილ-გონიერების და კეთილ-სინდისიერების ფურცელს აძლევს. ჟურნალისტთა საზოგადოება სდუმს.

ბ. ხაჩატუროვი ქართულ ენას ძაღლურ ენას ეძახის. მერე? ამოიღო ხმა ჟურნალისტთა საზოგადოებამ? გაჰკიცხა ბ. ხაჩატუროვის მოქმედება? არა. სდუმს ჟურნალისტთა საზოგადოება.

მაშ, რა მოხდა ისეთი, რომ ასე გაცხარდენ თფილისის ჟურნალისტები?

„ჩვენ სუყველა მოსყიდულნი ვართო", —ამბობს ბ. ცერცვაძე გადაჭარბებულათ. ჩვენ ამას სავსებით არ დავეთანხმებით. ჩვენ ვიტყვით: ყიფიან-ნაგურსკის, როგორც ბურჟუაზიულ ჟურნალისტებს, არაფერი არაჩვეულებრივი არ ჩაუდენიათ. **ბურჟუაზიულ პრესას არ უნდა ეხამუშებოდეს მათი მოქმედება.**

მათ უნდოდათ დაეცვათ მრეწველობის ინტერესები. ვის ეწინააღმდეგება ეს ინტერესები? პროლეტარიატის და გლეხების ღარიბი ნაწილის ინტერესებს. და აბა რომელი ბურჟუაზიული მწერალი დაიცავს უკანასკნელების ინტერესებს!

პირობით შეეკვრენ კაპიტალისტებს? და რომელი ჟურნალისტი არ ეკვრის ამ ბანაკიდან პირობით კაპიტალისტს: ან მას პირდაპირ, ან მის ინტერესების მატარებელ-დამცველს-რედაქტორ-გამომცემელს! პირობა სამნაირია: 1) წერილობითი, 2) სიტყვიერი, 3) ჩუმ-თანხმობით. ყიფიან-ნაგურსკიმ პირველი ფორმა ირჩიეს.

აი, თუ დამტკიცდა, რომ პირობის შეკვრის დღიდან მათ შეიცვალეს თავისი დამოკიდებულება კაპიტალისტთან, თუ მათ სულ სხვა სიმები აათამაშეს, ვიდრე ადრე აჟღარუნებდენ, მაშინ ბურჟუაზიულ მწერლობასაც კი შეუძლია სთქვას: მათ აშკარად გაჰყიდეს თავისი რწმენა ოცდაათ ვერცხლად. როგორც ზევითა ვთქვით, ყოველი ბურჟუაზიული მწერალი არა თუ იმ პირობით ეკვრის ამა თუ იმ ბურჟუაზიულ რედაქტორ-გამომცემელს, და სუყველა კი ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება კალმით. რასაკვირველია, დაცვაც არის და დაცვაც; ინტერესებიც არის და ინტერესებიც. ერთი მწერალი დასაცველ იარაღს არ არჩევს; დასჭირდება—ბებუთს ამოიღებს წელის ყელიდან და ზურგში ჩასცემს მოპირდაპირეებს; დასჭირდება,—ხმალს იშიშვლებს და იერიშით მივა. მეორე—ყოველთვის პირდაპირია, ყოველთვის ჯენტლმენია. მესამე—ალამაზებს თავის კალამს, თვალს უხვევს მოპირდაპირეს: აქ ფილოსოფიას გადმოიღებს, იქ პოეზიასაც წაეტანება, სხვაგან ტკბილ მოსაუბრეთ მოგეჩვენება, ბოლოს კი მაინც ბურჟუაზიულ პროზას მოგიძღვნის. ერთი მწერალი კაპიტალისტის მტაცებლობას არ მოიწონებს, ძარცვა-გლეჯა-ყვლეფის წარმოებას არ გამოექომაგება; ის უფრო კულტურული, უფრო თანამედროვე წარმოების აყვავების საშვალებებს გამოძებნის. თითეული მათგანი კი თავისებურად ემსახურება ბურჟუაზიას.

მაშ, თქვენ ყიფიანი-ნაგურსკის მოქმედებაში არაფერ ბოროტ-მოქმედებას არ ხედავთო? უთუოდ მოგვცემენ კითხვას.

ჩვენ ვხედავთ; ჩვენ ყოველგვარი „პირობების" წინააღმდეგნი ვართ, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმათი, ვის დაცვასაც ეს „პირობა" აღიარებს; მაგრამ ჩვენ მათი განცვიფრება ვერ გაგვიგია. ბურჟუაზიული პრესიდან არც ერთი ქვა არ უნდა მოხვედეს ყიფიან-ნაგურსკის.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გვსურს, რომ „სინდიკატის" საქმე გამოირკვეს, ვინაიდან მაგ წუმპედან არა ერთი და ორი გველ-ბაყაყი ამოცურდება. ამისათვის საჭიროა კითხვის გაფართოვება, მისი ყოველ-მხრივი შესწავლა. ჩვენ ყიფიან-ნაგურსკის საქმეზე უფრო გვაინტერესებს „სინდიკატის" საქმე.

ჯერ სულ პატარა თევზები ამოცურდენო,—სთქვა თქვენ ერთ-ერთ კრებაზე ერთმა ორატორმა,—აწი ღლავები უნდა დავიჭიროთო.

აი, ამ ღლავების დაჭერა გვაინტერესებს.

და როდესაც ბ. ცერცვაძე ამ ღლავების დაჭერას შეეხო და ანკესიც მათკენ გადააგდო, ჟურნალისტები გაიძახოდენ: საქმეზე ილაპარაკეთო.

დიახ, სიმართლე იკბინება და ის დიდი სიმართლე, რომელიც შეიძლება მოინახოს „სინდიკატის" საქმეში, უთუოდ ბევრს დაასობს თავის ბასრ კბილებს.

რასაკვირველია, წვრილაც საინტერესოა, მაგრამ უფრო დიდი სიამოვნებით ღლავების და ლოქოების წუმპედან ამოთრევას მოველოდებით.

იკა.

## წერილები თავრიზიდან

საერთო მდგომარეობა

(შემდეგი)

მიუხედავათ არევ-დარევისა, ძალების უქონლობისა, საოცარი სისწრაფით იზრდება შეგნება და ყალიბდება კლასები. თავი და თავი უბედურება იმაში არის, რომ რევოლიუცია მოხდა იმ დროს, როცა ბურჟუაზია მოუმწიფებელი იყო. სპარსეთის წეს-წყობილება თავის მეფის მეთაურობით სულს ართმევდა ყოველ ადამიანს ირანში... სარწმუნოების ფანატიზმი, სისხლის აღება, შური და დევნა ზედ დაემატა ეკონომიურათ განუვითარებელ სახელმწიფოს და დაიმსხვრა იმ დროს, როცა არც ჯარი ყავდა სახელმწიფოს—არც ერთი კლასი მოწოდებული არ დარჩა მიელო თავის თავზე პასუხის-მგებლობა და ყველა კლასები ჩამოუყალიბებლათ, არეული, უორგანიზაციოთ შევიდენ ახალ მართვა-გამგეობაში—არ არის კლასი, არ არის პარტია, ორგანიზაცია, წესი და სამოქმედო პროგრამა-ტაქტიკა... განდევნეს მამად-ალი: მემამულე ყვირის—მე ვარ გამგე ირანის, ჩემია მიწა, მე მყავს გლეხებიო და დგება სახელმწიფოს სათავეში—სეპეხდარ-სარდარი ეს ორი მდიდარი ფეოდალი—მემამულე. იღუპება მუსულმანობა, იკარგება სარწმუნოებაო—გაყვირის მდიდარი სამღვდელოება და თეირანში თოკზე ჩამოკიდებულ რეაქციონერ მუშტეიდის ალაგს იკავებს სეიდ-აბდულა. ენჯუმენის წევრი მოლები ქადაგებენ სუფთათ არ ჩაიცვათ, „გალსტუკი" არ ატაროთო და ცნობილი რევოლიუციონერი მოლა ჰაჯი ფეშტნამაზი, რომელიც არჩეულია ქ. სალმასტიდან თავრიზის ენჯუმენში კრებებზე უშარვლოთ მოდის აბა (პალტოს ჰგავს) წამოსხმული. რევოლიუციამ ძველი ჩვეულება დაასამარა, ხალხი სინათლისკენ იჭვრიტება, მოთხოვნილებამ იმატა, ყველას ევროპიულათ უნდა ჩაცმა, მოხელეები ახალგაზრდები სუფთათ იცვამენ. ქალები ჩადრ-ქვეშ ევროპიულათ არიან მორთული, ახალგაზრდა ქალიშვილები ნახევრათ იხდიან ჩადრს. ევროპის საქონელით სავსეა ბაზარზე—ამას ანგარიშს უწევენ ევროპის კაპიტალისტები და რუსეთის ბურჟუაზია იძულებულია შეძლებისამებრ დაიცვას ირანის თავისუფლება, რადგან ჯერჯერობით ის აქ საქონელს ასაღებს. სპარსეთის ბურჟუაზია ეხლა იკრებს ღონეს, ეხლა გრძნობს ის ზედ-მეტი საქონლის გასაღების საჭიროებას—მით ფულის მოგებას და ამ დროს მას უშლიან. ბურჟუაზია აქ ძალას იკრებს—საბრძოლველათ ემზადება. სპარსეთის ბურჟუაზიას ჯერ არ ჩაუგდია ხელში მართვა-გამგეობა—ამიტომ რეაქცია ჯერ ვერ გაიმარჯვებს. მამად-ალი შახის მიმდევრებ რეაქციონერების წინააღმდეგ იბრძვის ახალი მთავრობა და ის რეაქციონერებიც, რომლებიც ებრძვიან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კლასებს. პირველ რეაქციონერებს სურთ ძველი წეს-წყობილების აღდგენა, მეორე „რეაქციონერებს" (როგორც აქ ეძახიან) მოპოებული უფლებების შენარჩუნება და რევოლიუციის შუა გზაზე შეჩერება—ამას ეწინააღმდეგება ბურჟუაზია, რომელიც ეხლა იკრებს ძალას — ორგანიზაციულათ ერთდება. გლეხობას სძინავს და მათი დეპუტატები არც ჩანან ჯერ.. უმთავრეს ძალას წარმოადგენს დემოკრატია, მარა მან ჯერ ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა ვერც ერთ დაწესებულებაში. მის წინააღმდეგ იბრძვის ყველა და ის განმარტოვებულია ყველა შეძლებულ კლასთაგან; დემოკრატიულ ნაწილს უყურებენ აქ არა საიმედოთ, „ბუნტოვჩიკათ", ურწმუნოთ; ის აქ განმარტოებულია და მის დამარცხება სახელის გატეხას ცდილობენ სოციალდემოკრატების დამცირებით, მისი დაცემით. დღეს სოციალდემოკრატები საშიში ხალხია, ეს პარტია აქ ნახევრათ აკრძალულია. აქ არსებობს დემოკრატიული პარტია დაშნაკცაკანების პარტია, ანჩაკისტების, „ახალგაზდა ირანის" (მლადო პერსი) და სხვა პატარა ჯგუფები და შანტაჟისტები. ხოიში დაატყვევეს ერთი მოლა და ერთი მეაბანოვე, რომელთაც უპოვნეს „იშიმაში აუის" და ს.-რ. პარტიის ბეჭედდაკრული ქაღალდი, რომლითაც [illegible]რებს ფულებს ტყუებდენ. ისინი გამოტყდენ დანაშაულობაში და [illegible] ბეჭედი მოსთხოვეს, მოლამ გა-ნაცხადა—შევჭამეო! სტაფილოს ძირზე ამოეჭრა ბეჭედი და დაჭერის წინ შეეჭამა! აქ არსებობს მთელი ადერბეიჯანის სომხების ეპარქიალური საზოგადოება, რომლის წარმომადგენელი ვინმე რაფაელ მოვსესიანცი პროვინციებში ფულებს აგროვებს ამ საზოგადოებისთვის. თავრიზში გამოდის დაშნაკცაკანების გაზეთი „არაოტ" (დილა), რომლის 23 ნომერში ფელეტონია დაბეჭდილი: „სიღატაკე არის ძირი ბოროტებისა"—ამ სათაურით. გაზეთი შენიშნავს, რომ გაღატაკებულ სომხის ხალხს აჯარიმებდენ და ფულებს ახდევინებენ—ეს კარგი არ არის და დასძენს: „ამ ჯარიმით, მათ (ს.-დ) უნდათ გაალატაკონ სოფლები, რომ ამნაირათ შექნან ნიადაგი სოც.-დემ. აგიტაციისთვის. თუ არ ასე, ს.-დ. შეუძლიანთ სოფლებში მუშაობა და სიარული? განსაკუთრებით ისეთს, როგორიც არის რაფაელიო"? რაფაელს იცნობენ ყოველგან როგორც ანჩაკისტს, ეს იციან დაშნაკცაკანებმა, მარა მათ ის წმიდა ს.-დ. მონათლეს, რომ მით სახელი გაუტეხონ იმ პარტიას, რომელიც პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო რევოლიუციის. სოც.-დემ. წინააღმდეგ ამხედრდენ ყველა ისინი, ვინც დღემდის ამ პარტიას სახელის ტარებაში ეცილებოდენ, „უკეთეს რევოლიუციონერობას" ჩემობდენ ხალხის წინაშე. რა კი ერთგვარი თავისუფლება მოიპოვეს, რევოლიუციის გაღრმავება მათ არ სურთ. დღეს დემოკრატია იღვიძებს, ის შეურაცხყოფილია, განმარტოებული და ხელს იწვდის სოც.-დემოკრატებისკენ—ისტორია მათ ახლო მომავალში დაახლოვებს და დემოკრატია რწმუნდება, რომ ხალხის ინტერეს ს.-დემოკრატებზე უკეთ ვერავინ დაიცავს. ამას ხედვენ და ინსტიქტიურათ გრძნობენ, როგორც პარტიები, ისე „მაღალი საზოგადოებებიც" და შეერთებული ხმით გაჰკივიან: სპარსეთში ნიადაგი არ აქვს ს.-დ. აქ რა უნდათ მათო.

ამ დღეებში აქ ლექცია წაიკითხა სომხის ეპისკოპოსმა, რომელმაც გაილაშქრა რაღაც ახალი აზრების ქადაგების წინააღმდეგ (იგულისხმეთ ს.-დ.). ჩვენში დღემდის არ ყოფილა სხვადასხვა მიმართულება, ყველა ერთ ნაციონალურ „საქმეს" ვეწეოდით, ეხლა რაღაც დაყოფა გვეტყობაო! არსდება პატარა ჯგუფი რამდენიმე პირისაგან, რომელიც თავის თავს ს.-დ. უწოდებს და ბურჟუაზია-დემოკრა-

## სოციალიზმის ისტორიიდან.

**„სოციალური მოძრაობის წინმსვლელობა ევროპაში.**

წერილი ფრ. ენგელსისა *) „(ნოიე ცეიტ" 1909 წ. 17 დეკემბერი).

(ნემეცურიდან.)

ინგლისელი სოციალისტები ნაკლებათ იცნობენ და ეჭვის თვალითაც უცქერიან იმ სოციალურ მოძრაობას, რომელსაც კონტინენტის სხვადასხვა ნაწილებში ფეხი აქვს მოკიდებული. ეს გარემოება მე ყოველთვის მალიან ძაკვირვებდა მით უფრო, რომ საფრანგეთში კომმუნიზმს 500000-მდე წარმომადგენლები ჰყავს, არიან აგრეთვე ფურიერისტებიც და სხვა შედარებით უფრო სუსტი, ზომიერი მომხმარენი სოციალური რეფორმისა. შვეიცარიაში ყველგან შეხვდებით კომუნისტურ საზოგადოებებს; ესენი აგზავნიან პროპაგანდისტებს იტალიაში, გერმანიაში და უნგრეთშიაც კი. კომმუნიზმის გზას დაადგა გერმანიაც; აქ ფილოსოფია გახდა მისი მაღიარებელი და თავისებურათ გამომხატველი.

ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია,—აი ევროპის კულტურულათ წინ წასული ქვეყნები, სადაც დიდი რევოლიუცია აუცილებელ მოთხოვნილებათ გადაიქცა და ამ რევოლიუციას მიზნათ აქვს კერძო საკუთრების მოსპობა, მისი საზოგადოების ხელში გადაცემა.

საყურადღებოა ის, რომ თვითეული ამ სახელმწიფოთაგანი თავისი გზით, სხვისგან დამოუკიდებლათ მიისწრაფვება კომმუნიზმისაკენ. ცხადია, ეს მოძღვრება არ ყოფილა ამა თუ იმ ეროვნების განსაკუთრებული თვისებების გამომხატველი. პირ-იქით, ის აუცილებელი შედეგია თანამედროვე ცივილიზაციისგან წარმოშობილი პირობების.

ამიტომაც სასურველია, რომ ეს სამი ეროვნება ერთმანერთს დაუახლოვდენ და შეძლებისამებრ შეთანხმების გზას დაადგენ.

რა თქმა უნდა, აზრების სხვადასხვაობა მათში აუცილებელი იქნება, რადგან, როგორც ვთქვით, კომუნისტურ მოძრაობას თვითეულ ამ სახელმწიფოში თავისი დასაწყისი აქვს.

ინგლისში ის შედეგია სიღატაკის, პაუპერიზმის სწრაფათ განვითარების. საფრანგეთი ამ გზას დაადგა პოლიტიკის მეოხებით. პოლიტიკურმა თავისუფლებამ, პოლიტიკურმა თანასწორობამ აქ ხალხი ვერ დააკმაყოფილა, და აი, ამიტომ ფეხი მოიკიდა ახალმა მოძრაობამ, რომელსაც მიზნათ აქვს სოციალური თავისუფლება, საზოგადოების გათანასწორება.

რა კი ეს ასეა, ეჭვი არ არის, ბევრ საყურადღებო კითხვებში უთანხმოებას ვერ ავცდებით, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ეს ჩვენ შეკავშირებას ხელს ვერ შეუშლის. საჭიროა დაახლოვება, ერთმანერთის გაცნობა და მაშინ მე დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანი მსურველი იქნება, რომ მეზობელ ქვეყნებში კომმუნიზმის განვითარებას ხელი შეუწყოს.

საფრანგეთში დიდი რევოლიუციის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება სწრაფათ განვითარდა. აქ ეხლა ვერც ერთი რეფორმა, ვერც ერთი მოძღვრება პოლიტიკას ვერ ასცდება, პოლიტიკური სახე თუ არ მიიღო, ისე ნაციონალურ მნიშვნელობას ვერ მოიპოვებს.

საფრანგეთის რევოლიუციას ევროპაში დემოკრატიის აღორძინება მოჰყვათან. დემოკრატია,—ეს შინაგანი წინააღმდეგობაა, თავისი თავის უარყოფაა, ის სიყალბეზე და სიცრუეზე აგებული. პოლიტიკური თავისუფლება ყალბი თავისუფლებაა, ის ნილაბ-ჩამოფარებული მონობაა და სხვა არაფერი.

ამიტომ საბოლოოთ დემოკრატიაც უნდა დაირღვეს ისე, როგორც ყოველივე სხვა ფორმა მთავრობისა.—პირმოთნეობა დიდხანს ვერ გასძლებს, ის უნდა გამჟღავნდეს, უნდა მოისპოს, ან სრული მონობა-დაუმალავი დესპოტიზმი და ან ნამდვილი თანასწორობა, ე. ი. კომუნიზმი. ერთიც და მეორეც შედეგია საფრანგეთის რევოლიუციის. პირველის გამომხატველი იყო ნაპოლეონი; ბაბეფი იყო მეორეს წარმომადგენელი. ბაბეფის მიმართულებაზე მე ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგან ინგლისურ ენაზე დაბეჭდილია ამის შესახებ ერთი წიგნაკი. კომუნისტების პირველი პლანი საფრანგეთში ადვილათ ჩაიშალა, რადგან იმ დროს კომუნიზმი ჯერ კიდევ სუსტი და შეუმუშავებელი იყო და ნიადაგიც სრულიად მოუმზადებელი.

ბაბეფის შემდეგ საფრანგეთში სენსიმონი იყო საზოგადოებრივი რეფორმის მქადაგებელი. იმან შექმნა სექცია და აქა იქ დააარსა შესაფერი საზოგადოებები შინაარსი ს.-სიმონის მოძღვრების იგივეა რაც „Нат-Соттоп"-ის სოციალისტებისა ინგლისში*), თუმცა ბევრ პრაქტიკულ კითხვებში ისინი ერთმანეთს სრულიადაც არ ეთანხმებიან.

ს.-სიმონის მოძღვრებამ საფრანგეთში ფეხი ვერ მოიკიდა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მთელი ეს მიმართულება რაღაც გაუგებარ მისტიციზმის ბურუსში იყო გახვეული. თავიდან ის ასე თუ ისე ყურადღებას იქცევდა, მაგრამ ბოლოს კი დაჰკარგა ნდობა, რადგან ხალხის იმედები მან ვერ გაამართლა. ეკონომიური დედა აზრები ამ მოძღვრების ძალიან სუსტ ნიადაგზე იყვენ დამყარებული.

ამ მოძღვრებამ მეტეორივით გამოანათა სოციალურ ჰორიზონზე და მალე გაქრა, დავიწყდა; მისი დრო დღეს წასულია.

თითქმის ს.-სიმონთან ერთად თანამედროვე წესწყობილების გარდაქმნაზე დაფიქრებული იყო მეორე კიდევ უფრო ძლიერი მოაზრე—ფურიე. მართალია, ამის ნაწერებს არ ეტყობა ს.-სიმონის სულიერი ძალა. ფურიე მძიმეთ სწერს და ადვილათ შეამჩნევთ, რომ თავისი აზრების გამოხატვა მას ძალიან უჭირს. მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც მეტის სიამოვნებით ვკითხულობთ ფურიეს ნაწერებს. აქ ჩვენთვის ბევრი რამ უფრო საყურადღებო და დასაფასებელია ვიდრე მის წინამორბედის მოძღვრებაში. მ სტიციზმი, მართალია, არც ფურიეს აკლია, პირ-იქით აქ ის უფრო გაზვიადებულიც არის. სამაგიეროთ მის ნაწერებში დაინახავთ მეცნიერულ გამოკვლევებს, უფრო სერიოზულ და სისტემატიურათ დაწყობილ აზრებს. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ფურიეს მოძღვრება სოციალურ ფილოსოფიას შეიცავს, ს.-სიმონის ქმნილებას კი სოციალური პოეზია შეგვიძლია ვუწოდოთ. ფურიემ პირველათ წამოაყენა ის დედა აზრი სოციალური ფილოსოფიის, რომ ყოველივე პიროვნება თავისი ნებით, სხვისგან დამოუკიდებლათ ეტანება ამა თუ იმ სამუშაოს. შევაეროთ ყველა ეს ინდივიდუალური მისწრაფებები და მაშინ ისე მოეწყობა საზოგადოებაში შრომა, რომ ყოველგვარი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნებაო. მაშასადამე პიროვნება უნდა განთავისუფლდეს, დეე თავისი ნებით აირჩიოს მან ისეთი სამუშაო, რომელიც მას სურს. ძალდატანება, რასაც ამ შემთხვევაში ჩვენ დღეს ვხედავთ, უსათუოთ უნდა მოისპოსო. ეს შეხედულება გამოთქმულია თამამათ და იმავე დროს ისე უბრალოთ და დასაჯერებლათ, რომ კოლუმბის კვერცხს მოგვაგონებს.

სრული სიზარმაცე შეუძლებელიაო, ამტკიცებს ფურიე, ადამიანს შრომის სურვილი თანდაყოლილი აქვს და ამიტომ ძალდატანება რა საჭიროა. საკმაოა ჰარტო მის ბუნებრივ მისწრაფებას გზა გავუკაფოთო. ფურიე ამბობს აგრეთვე, რომ ადამიანი თავისი ნაშრომით თვითონვე უნდა სარგებლობდესო და ამიტომ ის გმობს თანამედროვე წეს-წყობილებას, რომელიც ხელს უშლის ასეთი სამართლიანობის განხორციელებას. გონიერი მმართველობის ქვეშ შეიძლება ისე მოეწყოს საქმე, რომ მუშამ თვითონვე ისარგებლოს თავისი ნაწარმოებით და ისე მუშაობა მისთვის მძიმე ტვირთად არ დაიქცესო, ამბობს ფურიე.

მიუხედავათ ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფურიეს მოძღვრებაც ყალბ ნიადაგზეა დამყარებული. ის არ ფიქრობს კერძო საკუთრების მოსპობაზე. მის საზოგადოებაში არიან მდიდრებიც და ღარიბებიც, კაპიტალისტებიც და მუშებიც. მის კოლონია ვაჭრობს, მიწას ამუშავებს და მრეწველობასაც ეწევა. შემოსავალი იქ სამ ნაწილათ იყოფა:

*) ეს წერილი, როგორც „ნოიე ცეიტის" რედაქცია შენიშნავს, პირველათ დაბეჭდილი ყოფილა ინგლისურ ენაზე ოუვიენისტების ჟურნალში 1843 წ. ამ ჟურნალიდან „ინგლისიურ პარტიულ გამოცემას ამოუღია და ეხლა ნემეცურ ენაზე ლუიზა კაუცკის გადაუთარგმნია. რედაქცია სამართლიანათ შენიშნავს, რომ ეს წერილი კარგათ გვიხასიათებს 23 წლის ავტორს და ფრიად საყურადღებო მასალაა, როგორც მისი ბიოგრაფიის შესასწავლათ, ისე მეცნიერული სოციალიზმის პირველი ნაბიჯების გასათვალისწინებლათ.

*) ეს მისტიკური სოციალისტური წრე ინგლისში არსებობდა წარსული საუკუნის მე-40 წლებში.

ტების შეერთება-მეთაურობას ფიქრობს: ბურჟუაზიას ხელმძღვანელი ძალები არ ყავს, ჩვენ უნდა შევაგნებინოთ მათი ინტერესები მათ და პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გავუწიოთო. ამ დროს ხდება ახალ გამოღვიძებული მუშების გაფიცვა და ეს ჯგუფი ეუბნება: შენ ჯერ მოიცადე, ბურჟუაზია გაძლიერდეს, მერე ს.-დ. გავხდები—შენ გიხელმძღვანელებო! არიან ანჩაკისტები, რომლის მოქმედება პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ჩანს. რაც შეეხება დროშაკისტებს, მათი მოქმედება წმიდა ნაციონალისტურია, მოქმედებს და საქმე აქვს ყველასთან იმდენათ, რამდენათაც „მათი" საქმე ამას თხოულობს. მიდიან მუშათა პროფესიონალურ კრებებზე და თხოულობენ წმიდა პარტიულ კავშირებს. რევოლიუციაში ისინი ცალკე მოქმედებდენ, დღეს კი მთავრობის ჯარში იბრძვიან რეაქციის წინააღმდეგ და მით „თავიანთ" პოლიტიკას აწარმოებენ. როგორც შეიცვლება ირანის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალთა განწყობილება, ისე შეიცვლება ამ პარტიის დამოკიდებულება რევოლიუციასთან, მარა ამაზე ცალკე. დღეს კი ყოველგვარ ღონეს ხმარობენ დასცენ ს.-დ. პარტია ხალხის თვალში.

გლასა მგელაძე.

(შემდეგი იქნება).

# ახალი ამბები

✦ **ჟურნალისტების კრება.** კვირას, 28 თებერვალს, შესდგა თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც 27 თებერვლის კრების გაგრძელება იყო. კრება არჩევდა „ბატაილ-მირზოევის" საქმეს. კრება შემდეგი დადგენილებით გათავდა: აირჩიეს პატივის სასამართლო შვიდი კაცისაგან. სასამართლოში შევლენ ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ თავის წრიდან არჩეულნი პირნი და კერძო ჟურნალისტებიც; ამათგან ბრალდებულთ ნება ეძლევა 2 წევრი გადააყენონ. სასამართლოს არჩევნები შემდეგ კვირას, 7 მარტს მოხდება. კრებების დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ ნომერში დაიბეჭდება,

**სახალხო უნივერსიტეტი.** 26 თებერვლის კრებაზე სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას მიწვეული ჰყავდა უნივერსიტეტის შკოლების მასწავლებლები. დაესწრენ: ვერის, ავლაბრის და გოგოლის ქუჩის ქართული შკოლების და ნაძალადევის—რუსული და ვერის—თათრული სკოლის მასწავლებლები. უკანასკნელი შკოლის გარდა, სადაც ამ ჟამათ 25 მოსწავლეზე მეტი სწავლობს, დანარჩენები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას: მსურველი ძლიერ ბევრია და რადგანაც ერთ მასწავლებელს არ შეუძლია ამდენი მოსწავლეს ასწავლოს, ამიტომ ბევრი მთხოვნელი უსწავლელი რჩება. მასწავლებლების მოხსენებებიდან გამოირკვა: სკოლებში უმეტესათ მუშები და ხელზე მოსამსახურენი სწავლობენ. მათი წლოვანობას შუათანა რიცხვი 25 წ. უდრის. ავლაბრის სკოლის მასწავლებელმა განაცხადა, რომ ავლაბარში საჭიროა სომხური სკოლა დაარსდეს. სახ. უნივერსიტეტსაც ქონდა წინათ ამის შესახებ ლაპარაკი, მხედველობაში მიიღო მასწავლებლის განცხადება და დაადგინა ამის შესახებ შეეკითხოს სახ. უნივერსიტეტთან არსებულ სომხურ სასკოლო სექციას. როგორც გამოირკვა, მასწავლებლებს ყოველ დღე არა ნაკლებ 3—4 საათ. მუშაობა უხდებათ სკოლაში და მოსწავლეებიც მადლიერნი არიან. მასწავლებლებმა მოითხოვეს ჯამაგირების მომატება, მაგრამ უსახსრობის გამო სახალხო უნივერსიტეტი ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს მათ თხოვნას.

✦ **პროფესორ არტემიევისთვის** თხოვნით მიუმართავს ქალაქებს: ბათუმს, ერევანს და ბაქოს, ინახულოს და მოაწყოს ადგილობრივ ელექტრონის სადგურები. პროფესორს მათთვის უარი შეუთვლია, რადგან ის ამ ჟამათ კიევში მიემგზავრება.

✦ **ლექცია.** დღეს, 2 მარტს, სახაზინო თეატრში ა. ნ. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციას. „ინდივიდუალიზმზე". დასწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **აბანოს დახურვა.** ქალაქის სანიტარულ პოლიციის ზედამხედველმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში დახურონ თამამშევის, წოვიანოვისა და ბოლუთინსკის აბანოები ანტისანიტარული მდგომარეობის გამო.

✦ **ნება დაურთველი საღამო.** 27 თებერვალს თუმანოვის ქუჩაზე, სახლი № 23, შესდგა ნება დაურთველი საცეკვაო საღამო. პოლიციამ ადრე შეიტყო ეს, რომლის მოთხოვნით საღამოდან ხალხი დაიშალა. საღამოს მომწყობ პერ-გალუსტოვს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **ძაღლების დამგეშავი.** პეტერბურგიდან თფილისში უკვე დაბრუნდა უბნის ზედამხედველი მარჩენკო, რომელიც პეტერბურგს ძაღლების მგეშაობის შესასწავლათ იყო გაგზავნილი. მარჩენკოს ძაღლების მგეშაობის კურსები უკვე დაუმთავრებია და მოწმობაც მიუღია.

✦ **კახეთის რკინის გზა.** თფილისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას მოსთხოვა გაუგზავნოს მას ნავთლუღის მიდამოების გეგმა ე. ი., გეგმა იმ ადგილებისა, სადაც კახეთის რკინის გზა გაივლის. გუბერნატორი სთხოვს ქალაქის გამგეობას შეატყობინოს, რა უფლების ძალით უფლობს ქალაქი ნავთლუღის მიდამოებს.

✦ **სახალხო სახლი.** კვირას, 23 თებერვალს, სახალხო სახლში სახ. უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართა დილა საკონცერტო განყოფილებით, რომელსაც დაესწრენ სახალხო უნივერსიტეტის მოსწავლეები ქართულ, სომხურ, რუსულ და ოსურ სკოლებიდან. მოსწავლეების გარდა დილას სხვა კერძო პირებიც ბლომათ დაესწრენ.

✦ **ქართული საღამო განჯაში.** თებერვლის დამლევს განჯაში შესდგა ჩვეულებრივი ქართული საღამო. საღამოს კარგი შემოსავალი ქონდა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის შენობა.** თფილისში ახლო მომავალში ააგებენ ფოსტა ტელეგრაფის შენობას. ამ საქმის დასამთავრებლათ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ამ ჟამათ პეტერბურგში იმყოფება.

✦ **ცეცხლი სასულიერო სემინარიაში.** 26 თებერვალს დილის 10 საათზე თფილისის სასულიერო სემინარიის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

✦ **პოლიციელი სამართალში.** ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით სამართალში მიცემულია ქუთაისის საპოლიციო უბნის ზედამხედველი სერაფიონ ნიჟარაძე.

✦ **სამგლოვიარო წერილები.** დამწუხრებული ვართ ძვირფასს მეგობრის ს. მურვანიძის უდროოთ გარდაცვალების გამო. ხელს აწერს 30 კაცი.

— გული დაგვწყვიტა ამხანაგ სევასტი მურვანიძის უდროოთ დაკარგვამ. ისიდორე რამიშვილი, გ. გაიძე, დიმიტრი მორჩილაძე.

— ვგლოვობთ უდროოთ დაკარგულ ძვირფას ამხანაგს სევასტი მურვანიძეს. ოზურგეთის ამხანაგების მონდობილობით ანანია სადუქაძე.

— ვგლოვობთ ძვირფას ამხანაგ. მურვანიძეს: ან. გობიძე, ან. ფირცხალავა, დ. შალვაძე.

— მწუხარებით დავსტირით უდროოთ გარდაცვლებულს მურვანიძეს: დ. რამიშვილი, ნ. რუსიაშვილი, ი. რუსიაშვილი, ი. ერქომაიშვილი, ა. როჟუა, ს. და გ. რუსიაშვილები, გ. გობიძე.

✦ **რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი:** ვსტირით უდროოთ დაკარგულ მასწავლებელს ალექსანდრე ნ. ბახტაძეს („ალიაჯი"). ვლ. მ. ქუთათელაძე, მასწავლებლები ს. ინწკირველი, ეკატერინა ქუთათელაძისა და დ. ჰოშკოვისა.

---

**შეცდომის გასწორება:** ს. დევდარიანის წერილებში—„ახალი ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ" შემდეგი უმთავრესი შეცდომა შეგვეპარა: პირველ წერილში მე-5 სვეტი—„მონიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება"; უნდა იყოს: მახიზმი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება. მეორე წერილში 1-ლი სვეტი: „რა განყოფილებაში" არიან, უნდა იყოს: „რა განწყობილებაში არიან; მესამე წერილში 1-ლი სვეტი ა ზოგს პური მიაჩნია პირველყოფილ ნივთიერებათ, უნდა იყოს: ზოგს ჰაერი. მე-4 წერილში 1-ლ სვეტში მერინგის აზრს შეეხება ის შენიშვნა („ნოიე ცეიტ", 29 ოქტომბერი 1909 წ.), რომელიც მე-2 სვეტშია გადატანილი; მე-8 სვეტში: „ამ ობიექტიური იარაღით ის გზას იკვლევსო" (დუნ. აზრი), უნდა იყოს: ამ სუბიექტიური იარაღით; მე-9 სვეტში: „მახი ერთათ ერთი კანონმდებელი", უნდა იყოს: მისი ერთათ ერთი კანონმდ.

---

**ოზურგეთი.** 14 თებერვალს აკურთხეს ქალაქის ქსენონი (ამბულატორია). კურთხევას ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო. როგორც განცხადებიდან სჩანს, გასინჯვაში ახდევინებენ 30 კ., მოსწავლეებს კი 15 კ. ჯერჯერობით ქალაქის მამებთან შეთანხმებით ქსენონში დადიან: მაზრის ექიმი ერისთავი და სამხედრო ადგილობრივი ბათალიონისა, პირველი 12 საათამდე და მეორე კი 1—2-მდე. ასე რომ, მთელი დღის განმავლობაში ექიმების ნახვა შეგიძლიათ მხოლოდ ორი საათით, რაც დარბიელთათვის უდიდათ მოუხერხებელია. ვფიქრობ, რომ ამგვარმა კომბინაციამ დიდხანს გასტანოს, ვინაიდან ხსენებულ ექიმთ ისედაც ბევრი საქმეები აქვთ და ამისათვის ვერ მოიცლიან და საზოგადოება ტყუილ-უბრალოთ მოტყუებული დარჩება. საჭიროა ქალაქმა იზრუნოს განსაკუთრებული ექიმის მოწვევის შესახებ გაზაფხულისთვის მაინც.

— ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. გორგასლიძე, როგორც გადმოგვცეს გადაუყვანიათ აშტარაში (ერევნის გუბერნია) იმავე თანამდებობაზე.

— ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველომ, ფინანსიური კრიზისის გამო, კვლავ განუტევა სული. ამ ჟამათ სამკითხველო ფაქტიურათ აღარ მოქმედობს. ნუ თუ დავიჯეროთ ის, რომ ოზურგეთს არ აღმოუჩნდენ იმგვარი გულშემატკივრები, რომლებსაც ამ საქმის შესახებ რამე ეზრუნათ და ერთათ ერთი კულტურული დაწესებულება ფეხზე დაეყენებიათ? სხვა რომ არა იყოს, სირცხვილია.

---

**ფოთი.** 26 თებერვალს დაიხურა საეპარქიო სიეზდი. სიეზდზე აშკარათ იჩინა თავი გურულ-მეგრელ-სამღვდელოებათა შორის განხეთქილებამ, რაც ძლიერ უშლიდა წამოყენებულ კითხვების გადაჭრას. ეს განხეთქილება ხშირათ სკანდალურ ხასიათს ღებულობდა.

— 22 თებერვალს ახალ სოფელში მცხოვრებ ლავრენტი ღებსაიას პურის საყიდლათ გაუგზავნია პატარა 5—6 წლის ქალი—კირილე ჩაგანავას დუქანში. როცა ბავშვი შესულა ხსენებულ დუქანში, უკვე საღამო ყოფილა. ჩაგანავას ბავშვისთვის კონფეტები მიუცია. შემდეგ უხელთებია დრო და გაუგზავნია ოთახში და საზიზღარი ძალა უხმარია მაზე. რადგან ბავშვს დაგვიანებია, მის მოსაძებნათ დედა წამოსულა თავს წაწყდომია ამ საზარელ სურათს. ამ უცნაურმა მხეცობამ მეტათ აადელვა ხალხი.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის.** კვირა, 21 თებერვალი დიდებულ დღეთ უნდა ჩაითვალოს გერმანიის ცხოვრებაში. სოც.-დემოკრატების მოხერხებულმა ტაქტიკამ „უტრ. როსიის" სიტყვით, ამ დღეს სასტიკი თავზარი დასცა გერმანიის მთავრობას.

რადგან პოლიციამ წინა დღითვე აკრძალა დემონსტრაციები და ტრეპტოვის პარკს, სადაც მიტინგზე ხალხს თავი უნდა მოეყარა, ჯარი შემოარტყეს, სოც.-დემ. კომიტეტმა კვირას, დილით ადრე რამოდენიმე ასი შიკრიკები დაუგზავნა ველოსიპედებით საუბნო ორგანიზაციებს და აცნობა დემონსტრაციის ადგილის გამოცვლა, რომელიც ახლათ დანიშნეს ტირგარტენში. პოლიციამ ეს არ იცოდა და დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის აგენტები გაგზავნა ტრეპტოვის პარკში, სადაც თავი მოეყარა 8,000 კაცს და მშვიდობიანათ იდგენ. პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს და ხალხი გაფანტეს. არეულობის დროს რამდენიმე მგზავრი დასჭრეს პოლიციელებმა, ერთი ბავშვიც ცხენით გასთელეს. ამასობაში ტირგარტენს ურიცხვი ხალხი მიაწყდა. 1 საათამდე აქ ყოველის მხრიდან მოდიოდენ მუშები ცოლებით და ბავშვებით. დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს პარკის შუა გულ ალაგას და აქედან ფართე გზით რეიხსტაგისაკენ გაემართენ. რეიხსტაგთან პირველათ პოლიცია არ სჩანდა. მარსელიოზის მღერით და „გაუმარჯოს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ საარჩევნო უფლებას" ძახილით 150,000 მუშა რგოლივით გარს შემოერტყა „გამარჯვების ძეგლს", რომელიც რეიხსტაგის პირდაპირაა და წითელი დროშები ააფრიალეს ზედწარწერით: „თავისუფლება, ძმობა, ერთობა". წესიერების დამცველების საზოგადო ხელმძღვანელობა იკისრეს დეპუტატებმა: ლედებურმა, შტატგაგენმა და ლიბკნეხტმა. რეიხსტაგის კიბის ზემო საფეხურიდან ორატორები სიტყვებს ამბობდენ და მქუხარეთ გაიძახოდენ: „ძირს რეაქცია". 150,000 კაცისაგან შემდგარი კრება განსაცვიფრებლათ იცავდა წესიერებას. მუშა, რომელმაც პოლიციელს ქვა ესროლა, დემონსტრანტებმა დატუქსეს და პროვოკატორი უწოდეს.

ამასობაში პოლიციამ ძლიერი რაზმი გაგზავნა ტრიგარტენისაკენ და სასახლის უბნისაკენ დემონსტრანტებს გზა მოუჭრა. პოლიციელების რაზმები დააყენეს ფრიდრიხის ქუჩაზე და ბრანდენბურგის ჭიშკრებთან. მთელი გარნიზონი იქნა გამოწვეულ დემონსტრანტების წინააღმდეგ. წინამძღოლებმა დემონსტრანტებს წინადადება მისცეს მორიდებოდენ სასახლის უბანს. 3 საათზე პოლიცია შეუდგა მოედანის ხალხისაგან გაწმენდას. მათ ცხენები მირეკეს დემონსტრანტებისკენ, რომელნიც დიდ-დიდ ჯგუფებათ მშვიდობიანათ იშლებოდენ. ერთ ადგილას ცხენოსან პოლიციელთა რაზმი სრულიად უმიზეზოთ დაერია ხალხს; ცხენების ფეხებქვეშ მოყვა რამდენიმე ქალი. დემონსტრატებმა თავხედ პოლიციელებს მიაძახეს: „გრცხვენოდესთ". სამ საათზე დემონსტრაცია გათავდა. დემონსტრანტების ერთ ნაწილს უნდოდა რეიხს-კანცლერის სასახლისაკენ წასვლა, მაგრამ პოლიციელებმა ნება არ მისცეს. მთელი საზოგადოება აღტაცებულია დემონსტრაციის სიდიადით და იმ უმაგალითო წესიერებით, რომლის დაცვა შესძლეს სოციალ-დემოკრატებმა.

პოლიციამ სრული დამარცხება განიცადა პოლიტიკურათ გაწრთვნილ მასსის წინაშე.

**დემონსტრაციები პროვინციებში.** კვირას დემონსტრაციები გაიმართა პრუსიის 50-ზე მეტ ქალაქში. სუყველგან დემონსტრაციებზე სამაგალითო წესი იყო დაცული. დემონსტრანტების საერთო რიცხვი, „რუს. სლოვოს" გადმოცემით ორ მილიონზე მეტია, ქალებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში. გაზეთები ერთხმათ აღნიშნავენ, რომ გერმანიის მთავრობამ სასტიკი დამარცხება განიცადა კვირას.

**ვაჭრები ზარალს ჩივიან!** როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს სასახლის უბანს და ხალხს არ უშვებდენ, რადგან დემონსტრატების ეშინოდათ. ამ უბნის ვაჭრებმა მთავრობას მოსთხოვეს იმ ზარალის აღდგენა, რაც მათ 21 თებერვალს დაატყდათ მუშტრების ამ უბანში შეუსვლელობით.

**გაზეთები დემონსტრაციის შესახებ.** ყველა მიმართულების გაზეთები სავსეა პოლიციელთა საზიზღარი მოქმედებით, რომელნიც მშვიდობიან ხალხს—ქალებს, მოხუცებულებს და ბავშვებს უმიზეზოთ სცემდა. გაბრაზებულმა პოლიციის პრეზიდენტმა, რომელიც სოც.-დემოკრატების მოხერხებული მოქმედებით მოტყუებული დარჩა, პოლიციელებს უბრძანა: „დატუსაღებულები არ დაზოგოთო". მათ, მართლაც, უმოწყალოთ სცემდენ. გაზეთები ერთხმათ მოითხოვენ პოლიციის პრეზიდენტის გადაყენებას. ყველა გაზეთი აღნიშნავენ სოციალდემოკრატების თავდაჭერილ მოქმედებას.

რეაქციონური გაზეთები კი აღნიშნავენ პოლიციელების სასირცხვილო დამარცხებას და მწუხარებით აღნიშნავენ, რომ „ს.-დემოკრატებს ჯერაც ვერ ასწავლეს საკმარისათ ჭკუაო".

---

პირველია სამუშაო ქირა, მეორე ნაწილი მიდის პირადი ნიჭის, ტალანტის დასაჯილდოვებლათ, და მესამე—კაპიტალის მოგებას შეადგენს. ამ გვარათ, ფურიეს მოძღვრებაში ჩვენ შეურიგებელ წინააღმდგობას ვხედავთ სიტყვით ის ბრძოლას უცხადებს მოგებისთვის ვაჭრობას, უარყოფს ყოველგვარ კონკურენციას, თანასწორობას ქადაგებს, ასსოციაციებს და თავისუფალ შრომას აღიარებს. საქმით კი ის მომხრეა იმავე კონკურენციის, იმავე ექსპლოტაციის, მხოლოდ სხვა, გაუმჯობესებულ ნიადაგზე. რა თქმა უნდა, ასეთი მიმართულება დიდხანს ვერ გასტანდა, ხალხს ვერ დააკმაყოფილებდა.

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ფურიერისტები ეხლა ინგლისშიაც არიან და ამიტომ საკმაოთ მიმაჩნია ის, რაც ვთქვი მათზე. ეხლა კი შემიძლია გადავიდე უფრო საყურადღებო, უფრო რადიკალურ პარტიაზე. ამ პარტიას საფრანგეთში კომუნისტები წარმოადგენენ. ვიმეორებ, რომ საფრანგეთში ყოველივე მოძღვრებას პოლიტიკური ელფერი უნდა ედოს, უამისოთ ის ფესვებს ვერ გაიდგამს. ს.—სიმონი და ფურიე პოლიტიკას განზე უდგნენ და ამიტომ მათი პლანები კერძო საქმეთ გადაიქცენ, ნაციონალური მნიშვნელობა ვერ მოიპოვეს.

პირველი რევოლიუციის დემოკრატიამ, როგორც ვთქვით, წარმოშობა ბაბეფის კომმუნიზმი მეორე რევოლიუციამ 1830 წ. ნიადაგი მოუმზადა მეორე, უფრო მძლავრ კომმუნისტურ მიმართულებას. ლიბერალები, რესპუბლიკანელები—მთელი საშუალო წოდება და მუშათა კლასი 1830 წ. ერთად იბრძოდენ. გათავდა ბრძოლა და მუშები შინ გაისტუმრეს ბრძოლის ნაყოფით მარტო საშუალო წოდებამ ისარგებლა. მართალია, მუშებმ არა ერთხელ გამოილაშქრეს პოლიტიკური უპირატესობის წინააღმდეგ და რესპუბლიკის დასამყარებლათ, მაგრამ მათ ადვილათ ამარცხებდენ ხოლმე, რადგან საშუალო წოდებას თავისი ჯარი ყავდა,—თვითონ ის ნაციონალურ რაზმს შეადგენდა. მაშინ, 1834—1835 წლებში იქ მუშათა შორის ფეხი მოიკიდა ახალმა მოძღვრებამ. მუშებმა დაინახეს, რომ მათი დემოკრატიული პლანები კიდეც რომ განხორციელებულიყო, ისინი მაინც მოტყუებული დარჩებოდენ. მოწინავე ხელმძღვანელები ისარგებლებდენ მათი შეუგნებლობით, ხელში ჩაიგდებდენ უფლებას. ხალხის სოციალურ ცხოვრებაში კი ისინი ვერც ერთ ხეირიან გაუმჯობესობას ვერ შეიტანდენ, პოლიტიკურ უკმაყოფილებას ვერ მოსპობდენ.

მუშები ამიტომ გულ-მოდგინეთ უკვირდებოდენ წარსულ გაკვეთილებს, სწავლობდენ დიდი რევოლიუციის ისტორიას და ბაბეფის კომუნისტურ მოძღვრებას.

ახალ კომუნისტებზე დანამდვილებით ბევრი არა ითქმის რა.

სადღაც მიმალულ კუნჭულში პარიზის ახლო ერთ პატარა ქალაქში იმათ პირველათ ქონდათ საიდუმლო კრება. ვინც იცის დაწვრილებით მათი ისტორია, ის ამ საიდუმლოს არ ამხელს, რომ „კანონს" არ ჩაუვარდეს ბრჭყალებში.

მიუხედავათ აუტანელი პირობებისა, ახალი კომუნისტური მიმართულება სწრაფათ მოედო მთელ პარიზს, ლიონს, ტულუზას და სხვა დიდ-ქარხნიან ქალაქებს. გავრცელდა სხვა და სხვა სახის, თუმცა ერთი მიმართულების და გამომხატველი საზოგადოებები....

მეორე ჯგუფის კომუნისტები ისეთივე გამოუცდელნი იყვენ, როგორც ბაბეფისტები დიდი რევოლიუციის დროს. იმათ უნდოდათ მთელი ქვეყანა მუშათა საზოგადოებათ გადაექციათ. ცივილიზაციის წინსვლელობას ისინი ეჭვის თვალით უყურებდენ. მეცნიერების, ხელოვნების განვითარება მათ რაღაც მავნებელ და არისტოკრატიულ საქმეთ მიაჩდათ. ეს ცრუმორწმუნეობა მით აიხსნება, რომ ამ კომუნისტებს ცუდი წარმოდგენა ქონდათ ისტორიაზე და არც არაფერი გაეგებოდათ პოლიტიკური ეკონომიისა.

მესამე ჯგუფი ახალი კომუნისტებისა მით განირჩეოდა, რომ ის ომს უცხადებდა ე. წ. კანონიერ ცოლ-ქმრობას, უარყოფდა ოჯახს და სხვა ამ გვარ დაწესებულებებს. ეს და რამოდენიმე სხვა ჯგუფები მალე ჩაიშალენ და მუშები შეუდგენ იმ პრინციპების შესწავლას, რომლებიც **იკარიის** კომუნიზმის სახელით განვითარდენ ევროპაში.

ეს მოკლე ისტორია ჩვენ ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა განსხვავებაა საფრანგეთის და ინგლისის კომუნიზმის შუა. სოციალურ რეფორმას საფრანგეთში პოლიტიკური დასაწყისი აქვს. ცხადი იყო, რომ იქ დემოკრატიას არ შეეძლო ნამდვილი თანასწორობის განხორციელება. ამიტომაც ხალხმა კომუნისტურ სისტემებს მიმართა. კომუნიზმს იქ რესპუბლიკანელებიც კი აღიარებენ. მათ უნდათ შექმნან კომუნისტური საზოგადოება რესპუბლიკანური მართველობის ქვეშ. ამის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ინგლისელი სოციალისტები ვერას იტყვიან. დემოკრატიული მთავრობა რაც უნდა ცუდი იყოს ხალხისთვის უკეთესია, ვიდრე „გაუმჯობესებული მონარქია"

**სანდრო.**

**ინციდენტი პარლამენტში**. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე, 18 თებერვალს, ინციდენტი მოხდა. 466 ხმით 67-ის წინააღმდეგ პალატამ მიიღო მთელი ბიუჯეტი და სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა მთელი სესიისათვის. მემარჯვენეებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ უმრავლესობა უყურადღებოთ სტოვებს უმცირესობის განცხადებას. თავის უკმაყოფილების გამოსახატავათ მემარჯვენეებმა პიუპიტრების რახუნი დაიწყეს. ახალგაზრდა დეპ. ლერუა-ბოლიემ თავისი პიუპიტრი შუაზე გახეთქა და ორივეთი ასტეხა ხმაურობა. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა დეპ. დეზონი, რომელიც მოღერებული მუშტით მივარდა ლერუა-ბოლიეს. მოჩხუბარი დეპუტატები ძლივს გააშველეს მცველებმა. პალატის პრეზიდენტმა, რადგან მოჩხუბარნი თვითონ ვერ გააშველა, ცილინდრი დაიხურა და ტრიბუნა დასტოვა.

მემარჯვენეებმა დემონსტრატიულათ დასტოვეს სხდომის დარბაზი.

### რუსეთი.

**დეპუტატ ჩხეიძის** სიტყვის შესახებ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს წარმოსთქვა, გაზეთი „რეჩი“ სწერს:

«განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპ. ჩხეიძის მკვეთრი, მოსწრებული, მწვავე დაცინვით შეზავებული სიტყვა, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უმაგალითო გულთასმით და ყურადღებით იყო მოსმენილი ყველა დეპუტატებისაგან.

სოციალ-დემოკრატების ორატორმა მომშხამავი დაცინვით მოიხსენია მაკლაკოვის ყოფილი ოპტიმიზმი...

ორატორთან ერთათ ყველანი იცინოდენ. იცინოდენ ცენტრში, იცინოდენ კადეტები, იცინოდა თვით მაკლაკოვიც.

ჩხეიძის სიტყვის შემდეგ მაკლაკოვმა განაცხადა:

— საუცხოვო სიტყვა იყო! ჩხეიძე, მიუხედავათ მისი თვალთა ხედვის პირობითი მნიშვნელობისა, რასკვირველია, მართალია...

აშკარა იყო, ოქტომბრისტები სრულებითაც არ იყვენ სიცილის გუნებაზე, მაგრამ ჩხეიძის ირონიას მაინც ვერ გაუძლეს და მასთან ერთათ იცინოდენ.

**ფეიქრების გაფიცვა**. რიაბოვსკის საქსოვ ფაბრიკაში (სერპუხოვში) ფეიქარი მუშები გაიფიცენ. გაფიცვა გამოიწვია ზედამხედველის მიერ მუშის გალახვამ. ფაბრიკის ადმინისტრაციამ მუშებს შემდეგი წინადადება მისცა: გალახულმა მუშამ სასამართლოში იჩივლოს და თუ ზედამხედველი გამტყუნდება, მათი სურვილის თანახმათ დაითხოვს. მუშები ამ წინადადებაზე არ დათანხმდენ. გაფიცვა მშვიდობიანათ გრძელდება.

**გადასახლებულთა მდგომარეობა**. პიანგარის მხრიდან „რეჩს“ ატყობინებენ, რომ იქ კრასნოიარსკიდან მისულა ჟანდარმთა პოლკოვნიკი კომისაროვი ჟანდარმთა, ყაზახთა და პოლიციელთა გაძლიერებული რაზმებით. თვითეულ სოფელში გაჩხრიკეს პოლიტიკური გადასახლებულები, წაიღეს წიგნები და წერილები. როგორც ჩვენების ჩამორთმევიდან ირკვევა, კომისაროვს მიზნათ ქონდა აღმოეჩინა და მოესპო გადასახლებულთა შემაერთებელი ორგანიზაციები ისე, როგორც ბოქაულმა კალმიკოვმა ანციფეროვის და ბელსკის სამამასახლისოებში მოსპო შრომის არტელები და კოოპერატივები.

გადასახლებულთა ყოველგვარ ეკონომიურ ხასიათის ორგანიზაციებს, რომელთაც მიზნათ აქვთ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ გადასახლებულებს, მთავრობა სასტიკათ სდევნის და კრძალავს.

დამსჯელი რაზმი მდ. ანგარის ნაპირზე მდებარე სოფლებს მოედვა და შიშის ზარს სცემ მცხოვრებლებს. პოლიციამ ბევრი დაატუსაღა.

## მცირე შენიშვნა

### (წერილი ფოთიდან)

იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი ქალაქი, სადაც ქალაქის მამებიდან მცხოვრებთა ინტერესები ისე აბუჩათ იყოს აგდებული, როგორც ეს ფოთში ხდება. ჩვენ ამ მცირე წერილში არ შევუდგებით სისტემატიურათ იმის ჩამოთვლას, თუ როდის რას ქონდა აქ ადგილი. ამ ჟამათ ჩვენ ახლახან გაჩენილ სახადზე მოგვიხდება ლაპარაკი. დამახასიათებელია ამ საქმეში ქალაქის მამების მოქმედება. ქალაქის გამგეობა გულ-უხვობას იჩენს სხვადასხვა საქმეში და როცა ჯერი მცხოვრებლებზე და მათ ინტერესებზე მიდგება, აქ ის „ნამდვილ ეკონომიას“ ეწევა. 1907 წელს ქალაქს ესტუმრა ყვავილი, დიფტერიტი და სხვა გადამდები ავათმყოფობანი, რომელთაც მუსრი გაავლეს მცხოვრებთ. რა ზომები მიიღეს მამებმა მაშინ ეპიდემიის შესასუსტებლათ? თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, თითქმის არაფერი. მთელი ზამთრის (1907 წლ.) განმავლობაში ერთი სახლიც არ დაიქირავა მან ღარიბ ავათმყოფთა მოსათავსებლათ. გაჭირვებული ავათმყოფები ძალით სტეხდენ გამგეობის შეშის საწყობის კარებს და შიგ თავსდებოდენ. რომ ეს პარადოქსი არაა, ამაში ბევრი დამეთანხმება. ბოლოს იმ შეშის საწყობსაც მაგარი ბოქლომი დაადვეს და ახალ სოფლის გაუვალ ჭაობებში იქირავეს ერთი სახლი, სადაც (ეს ყველამ კარგათ უწყის) ავათმყოფი კი არა, კარგათ მყოფიც დაავათმყოფდება. ყვავილმა 1907 წ. მუსრი გაავლო მცხოვრებთ. ოფიციალური ცნობები ამის შესახებ ხელთ არ გვაქვს, მაგრამ მცხოვრებთა მტკიცებით დახოცილთა რიცხვი რამდენიმე ასს უდრის. არა ერთ და ორ ავათმყოფს ამოხდა სული უექიმოთ და უყურადღებოთ. წელს ფოთს ისევ ესტუმრა ეპიდემია. სახადი დღითი დღე იზრდება. დღემდის 41 ავათმყოფია ამ სახადით ავათ. ეს, რა თქმა უნდა, ოფიციალური ცნობით. რამდენია ისე ავათ,—ეს ალახმა უწყის. მცხოვრებნი ცდილობენ ავათმყოფობის გაჩენა არ გაიგონ ექიმებმა და ადმინისტრაციამ. აქ რამდენიმეთ მცხოვრებნი ცრუმორწმუნეობით ხელმძღვანელობენ, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მამების მიერ მცხოვრებთა ინტერესების აბუჩათ აგდებას. ქალაქის გამგეობამ მოიწვია ექიმი და თვეში მას მხოლოდ 100 მ. გადაუწყვიტა. ცხადია, ასეთ დროს ასეთ მცირე ჯამაგირისთვის ექიმი ვერ იკისრებდა 40 და მეტი ავათმყოფის მოვლას. ჯერ ერთი, რომ 40 ავათმყოფს ერთი ექიმი ვერ გასწვდება და მეორეთ ასეთ მცირე ჯამაგირზე ძნელათ თუ დათანხმდება ვინმე. რას ნიშნავს მამების მიერ ასეთ საშიშ დროს ასეთი მოპყრობა, თუ არა მცხოვრებთა ინტერესების აბუჩათ აგდებას?!. ცრუმორწმუნეობას აქ ღრმათ აქვს ფეხი გადგმული. მცხოვრებნი ავათმყოფებს ნახულობენ და მით უნებლიეთ ხელს უწყობენ ამ სენის გავრცელებას. რა ზომები მიიღეს ქალაქის მამებმა ამის წინააღმდეგ? გამგეობის განკარგულებით დაიბეჭდა და გავრცელდა ხალხში დარიგება—მორჩა და გათავდა. მაგრამ „დარიგებას“ ყველა ხომ ვერ წაიკითხავს და რომ წაიკითხოს კიდეც, ხომ ვერ გაიგებს? განა ასეთ დროს საჭირო არ იყო ქალაქის მამებს მოეწვიათ მცოდნე პირები და წაეკითხათ პოპულიარული ლექცია სახადის გაჩენაზე და იმაზე, თუ როგორ მოუარონ ავათმყოფებს და სხვა? მაგრამ, ეს ხომ, ტრადიციის დარღვევა იქნებოდა და ფოთლები უკანასკნელს ჩვეულნი არ არიან. ცრუმორწმუნეობას გარდა არა ნაკლებ აფრთხობს ხალხს ბარაკში არსებული მოპყრობა. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ბარაკში ახლა ათამდე ავათმყოფია. ასეთი ძნელი ავათმყოფობით შეპყრობილთ, მხოლოდ ერთი მოხუცი ადგია თავს. რომ 8—10 ძნელ ავათმყოფს ერთი მოსამსახურე და ისიც მოხუცი, ვერას გაწვდება,—ეს ყველასათვის აშკარაა. ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, (სხვა მიზეზებთან ერთად) რომ მცხოვრები მალავს ავათმყოფობის გაჩენას, რომ „წყეულ ბარაკში“ არ წაიყვანონ. მალავს იმიტომ, რომ ავათმყოფის ბარაკში მოთავსება ამნაირ პირობებში ნიშნავს სასიკვდილოთ გაგზავნას. ნუ თუ არ მოიპოვება ქალაქის გამგეობას სალარი დაიქირაოს რამდენიმე მოსამსახურე, იმდენი მაინც, რომ თავის დროზე წამალი მიაწოდონ ავათმყოფთ? თუ ახლა იჩენენ ისინი ეკონომიას? ყოველ შემთხვევაში, ასეთი საქციელი ნათლათ მოწმობს იმას, რომ როცა ჯერი მცხოვრებთა ინტერესებზე მიდგება,—ქალაქის მამები მაშინ ყურს არ იბერტყავენ და თავისი დუმილით ამტკიცებენ, რომ მათ არად უჩნთ მცხოვრებთა ინტერესები. დროა ამას დაუკვირდეს მცხოვრებნი.

ვპლია.

# პროვინცია

**ლანჩხუთი** (გურია). 21 თებერვალს საღამოს გულშემზარავი ამბავი მოხდა: ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა თავის თავის ... შვილის თვალწინ სასიკვდილოთ დასჭრეს მედიტონ ფირცხალაიშვილი. იმ დამესვე შეკრიბენ ახლო-მახლო მცხოვრებნი, მეორე დღეს კი მთელ საზოგადოებას შეუყარეს თავი და შეუდგენ მკვლელების ძებნას. როგორც თითონ დაშავებული ამბობს, ბოროტ-გამზრახველები ოთხნი ყოფილან. ორი მათგანი მას უცვნია. ესენი არიან ას. ც—ძე და ბ. ხ—შვილი. პირველი მათგანი მაშინვე დაატუსაღეს, მეორეს დაეძებენ. მკვლელობა კერძო ნიადაგზე მომხდარა. ასახელებენ შურისძიებას.

ამას წინათ აქაური კორესპონდენტი გულ-ნატკენათ აღნიშნავდა, რომ აქაურ „ინტელიგენტებს“ კარტის სათამაშოთ და საქეიფოთ არ ყოფნის დრო, საზოგადო საქმეს ვინ დაგიდევსო. სრული სიმართლეა. ნაკლებათ ნახავთ ისეთებს, რომ საზოგადო საქმე აინტერესებდეს. საზოგადო საქმისადმი ინტერესს ვინ სჩივა, თავისი ცუდი მაგალითებით სხვებს რომ ცუდ მაგალითს არ აძლევდენ.

ქალთა პროგიმნაზიის დაარსებამ დიდი აურ-ზაური ასტეხა. არ იქნა, ვერ მორიგდენ შენობის ასაგებ ადგილის უიდვაში. ყველა თავის კუთხისთვის ცდილობს. უთუოდ ეს სოფ. ლანჩხუთში ხდებოდა სწორეთ იმ დროს, როცა შუხუთელები თურმე თხოვნას-თხოვნაზე აგზავნიდენ გუბერნატორთან სკოლა ჩვენ სოფელში უნდა გაიხსნასო. როგორც გადმოგცეს, განაჩენიც გაუგზავნიათ და თუ ლანჩხუთელებმა თავის დროზე არ აცნობეს გუბერნატორს თავიანთი გადაწყვეტილება, ადვილი შესაძლებელი იქნება შუხუთელების თხოვნამ გასჭრას და გუბერნატორმა იქ დაამტკიცოს ეს სკოლა.

ამას წინათ „ზაკავკაზიე“-შიაც იყო მოთავსებული წერილი, რომელშიაც ავტორი სრულიად სამართლიანათ აღნიშნავდა შუხუთში ამ სასწავლებლის გახსნის შეუსაბამობას. მართლაც, ერთი უნდა ვიკითხოთ შუხუთლების განაჩენის ავტორები რით ასაბუთებენ თავიანთი თხოვნის სამართლიანობას? სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ლანჩხუთლებს სრული უფლება და უპირატესობა აქვთ მოითხოვონ პროგიმნაზიის აქ გახსნა. ყოველნაირი დაწესებულება აქ არის, როგორც მაგ., სამოქალაქო სასწავლებელი, ფოსტა, სავაჭრო-სოფლო და სხ. ერთი სიტყვით, საშუალო ადგილი ეს არის და სასწავლებელიც აქ უნდა გაიხსნას. შუხუთლების განაჩენის ავტორები კი ხელს უშლიან და აფერხებენ სასწავლებლის გახსნის საქმეს.

ცოტა რამ აქაურ „თეატრის საქმეზე“. ვიღაც კეთილ-გონიერმა ერთ მშვენიერ დღეს მოიგონა შესანიშნავი აზრი—ტყუილა უყოფნას და სეირნობას ამჯობინა რამე კარგი საქმის გაკეთება. შესდგა ქალთა ჯგუფი, რომელიც შეუდგა სათეატრო სახლის აშენებას. ასეთი კეთილი საქმის ხელის შემშლელი აბა ვინ უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ აქაც გამოჩნდენ არა-მკითხე „საქმის მოყვარულნი“. დაიწყეს აქაც ჭიბრი და ბიდოს არა-სასიამოვნო საქციელისაც მიმართეს. ეხლა დამის საქმე ჩაიშალოს, თუ მეტი სიფხიზლით არ მოკიდეს ხელი ყველა მათ, ვისაც აინტერესებს საქმის გაკეთება და არა მარტო ყბედობა.

რახან ლანჩხუთლებს თეატრი აღარ უნდათ, მათ კალანდაძის „დიდებული“ ცირკი ესტუმრა, რომელიც მუდამ ხალხითაა გაჭედილი.

ახალგაზდა ზეფონი.

---

**ლელიანის საზოგადოება** (სიღნაღის მაზრა). ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ისე ნორჩია, რომ მას მკითხველი ვერც კი იცნობს. ამ ოთხი თუ ხუთი წლის წინათ ეს გაუვალი ტყე მხოლოდ გარეულ მხეცთა საბუდარი იყო, იქ არვინ ცხოვრობდა.

1906 წლიდან, როდესაც იმერეთში ქრონიკული შიმშილობა დაიწყო, იმერეთის გლეხკაცობამ იწყო აქ გადმოსახლება.

ეს ტყე ეკუთვნის მემამულეებს და მდებარეობს ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ნიადაგი ჭაობიანია, ტყე უვარგისი, რაც არავითარ სარგებლობას არ აძლევდა მეპატრონეებს და ამის მეოხებით იყო კიდეც მივიწყებული.

ამასთანავე მოწყვეტილია ყველა ქალაქ-დაბა-სოფლებს. მაგ., თელავზე დაშორებულია 60 ვერსტით, სიღნაღზე 40-ით, ლაგოდეხზე 50-ით და დანარჩენ სოფლებზე 15—20-მდე. აი, ამ მივარდნილ ტყეზე დასახლდენ იმერლები.

ეს მამულები 1908 წლამდე იჯარით ქონდათ აღებული მემამულეთაგან. 1908-დან კი სადგლეხო ბანკის ხელში გადავიდა. და სწორედ აქედან იწყება ის აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც დღეს აქაური გლეხები განიცდიან.

მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა გაიგეს მამულების საგლეხო ბანკში გადასვლა—იმედი მიეცათ, რომ მიწებს შეისყიდდენ, მაგრამ ამ დროს რა მახეში აბმებოდენ, ამით ეს კი არ იცოდენ, არ იცოდენ რომ ერთხელ გადახდილ ფულს მეორეჯერ გადაახდევინებდენ. მაგალითად: „ბებურიანის ამხანაგობამ“ იყიდა თ. ჯორჯაძის მამული. თვითოეული დესიატინა ბანკმა მიიღო 60 მანეთად. თვითოეულ კომლს აქვს 10 დესიატინა და წლიურად ბანკს უხდის 30 მანეთს.

ასე უნდა იხადოს 50 წლის განმავლობაში. ე. ი. გლეხმა 600 მ. მაგიერ უნდა გადაიხადოს 1500 მ. ამას მიუმატეთ დაუსრულებელი ჯარიმები, რომლებსაც სამოურთხმოდ მანათობით ახდევინებენ გლეხებს.

მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ცოტა ხნის შემდეგ გამოუცხადეს გლეხებს, მემამულე არ სთანხმდება დესიატინას 60 მანეთათ, ბანკი კი მეტს არ მისცემსო. და მხოლოდ აქ თქვენ, გლეხები, შეურიგდით მემამულეებს ზედმეტ ფულშიო.

ამ დროს ხმები დაყარეს: თუ მამულს იმერლები ვერ მოურიგდენ, იმ შემთხვევაში მთელი მიწები რუსების ხელში გადავა და იმერლები იძულებული გახდებიან აიყარონო. ყველასათვის ცხადია, თუ რა აღიაქოთს გამოიწვევდა მთელ გლეხობაში ასეთი ხმები. იმ გლეხებს, რომლებმაც იმერეთში ყველაფერი გაყიდეს და ფული მგზავრობა-ტვის გაკაფვას მოანდომეს, რომლებიც დღე და ღამ მუშაობდენ და მთელი ძალ-ღონე აქაურობას შეალიეს: მორთეს, მოკაზმეს გაფერანგებული ტყე—ოდა--სასიმინდეებით, ახლა აღარს შეეძლოთ წასვლა. მემამულე კი გაიძახოდა: მე ჩემი მიწა 90 მანეთი მიღირს დესიატინა; კაპეიკსაც ვერ დავაკლებ, თორემ სხვები კიდევაც მეხვეწებიანო.

რა უნდა ექნა გლეხებს? იძულებულნი გახდენ დასთანხმებოდენ მემამულეებს და დესიატინაზე სამი თუმანი მეტი შექსიდებათ სახით მისცეს—ასე „ბებურიანის ამხანაგობას“ დესეტინა 90 მ. მიუიდეს, ნამდვილათ კი, სამი ამდენიც დაუჯდებათ.

ამ მაგალითს მიბაძეს დანარჩენმა მემამულეებმაც: დღე ისე არ გავა, რომ რომელიმე ოჯახი არ აიწიოკონ; მოსტაცონ ქვაბი, საბანი და საცვლებიც კი.

აუწერელი სურათი დატრიალდა ამას წინათ სოფლის შუა ადგილას ფარდაგი, საბნები ქვაბები და სხვა რამდენი რამე შეეგროვა ბია ჩაფრებს. იქვე გულსაკლავათ ბღაოდ შიმშილით მიხდილი საქონელი.

საწყალ გლეხს მოსტაცეს ხარები და რომ მშიერ საქონლისთვის საჭმელი მიეტანათ ამის ნებასაც კი აღარ აძლევდენ.

მართალია, ბედნიერათ არც დანარჩენი სოფლები გრძნობს თავს, მაგრამ არა მგონია სხვა რომელიმე საზოგადოება განიცდიდეს ასეთ უნუგეშო მდგომარეობას.

ჩვენი საზოგადოება 593 კომლისაგან შესდგება. გადმოსვლისათანავე ააგებიეს კანცელარიისათვის შენობა და დღეს დაყენებით მოითხოვს მთავრობა გააკეთონ ახალი ეკლესია.

დღეს, როდესაც ყველა სოფლებში ახსნეს მთავრობის მამასახლისები თავის ჩაფრებით, ჩვენ საზოგადოებას კვლავ ჩამოუყენეს ექვსი ჩაფარი სარჩენათ, რომელთა წლიური ჯამაგირიც 1440 მანეთს უდრის.

სავალალო ის არის, რომ ჩაფრების ჩამოყენებასთან ერთად სისტემატიურ სენათ გადაიქცა ქურდ-ბაცაცობა და სოფელს მოსვენება აღარ აქვს.

აგრეთვე გვყავს დაქირავებული მწერალი, რომელსაც წლიურათ 300 მ. ვაძლევდით. დღეს კი 360 მანეთი მოსთხოვა საზოგადოებას. საზოგადოებამ დაიქირავა სხვა მწერალი, მაგრამ რადაც მიზეზებით ის დაითხოვა მამასახლისმა და მაინც პირველი დააყენა.

სამაგიეროდ არ გაგვაჩნია არც სკოლა, არც ჟურნალ გაზეთები და არც ექიმი და სხვა. შარშანწინ სახადი მძვინვარებდა, რამაც 300 სულამდე ადამიანი იმსხვერპლა, მაგრამ ექიმი თვალითაც არ გვინახავს.

საჭირო საზოგადოებამ იმაცადინოს ჩაფრების მაინც თავიდან მოშორება, რადგან მათი ჯამაგირით შეიძლება ერთკლასიანი სასწავლებლის შენახვა მაინც თუ მეტს ვერ შესძლებენ ჯერჯერობით.

ბ. ვანელი

# მუშათა შორის

**ქ. ქერჩის მუშები**. ის უკიდურესი მდგომარეობა, რომელსაც ქერჩის მუშები განიცდიან ამ ჟამათ, აუწერელია. თუ გასულ წელს თითოეული მუშათაგანი ... თვეში 30—40 მ ... 7—8 მ. მათ შეძლება არა—აქვთ ... ფიდან აუცილებელი მოთხოვნილება. ამ გარემოებას ხელი შეუწყო გურიის სხვადასხვა საზოგადოებიდან ჩამოსულმა სამუშაოს მძებნელებმა. ბევრი ახალმოსული, რომელნიც ამ რამოდენიმე დღის უკან გვესტუმრენ, დარწმუნდენ, რომ აქ ყოფნა ტყუილა უმნიშვნელოდ დროს დაკარგვაა და კიდეც წავიდენ უკან. რამოდენიმე კი დარჩა და მას დღითი-დღე ემატებიან. თუ წინათ აქ ორთქლმავალის სადგურებში თითქმის ყოველ დღე იყო მუშაობა, დღეს კვირაში ორჯელაც არ არის. ასე მაგ., ის საქონელი, რომელიც მუშებმა უნდა დატვირთონ და გადმოტვირთონ ისეთი ცოტაა, რომ არა თუ იმის ქირა დააკმაყოფილებს აქაურ მუშებს, რომელთა რიცხვი 100 აღემატება, არამედ დირებულ ფასშიაც რომ გაჭყლიტონ, ნივთზე უფლება აიღვინონ, მაშინაც საეჭვოა მათი არსებობა. ამ კრიტიკულ მდგომარეობამ აიძულა მუშები გაეგზავნათ დეპეშები ფოთში და ბათუმში რომ მუშები არ წამოსულიყვნენ. დეპეშა თუმცა გაგზავნეს, მაგრამ ამაოთ. მუშები დღითი-დღე მოდიან და ასე, ამრავლებენ ისედაც მრავალრიცხოვან უმუშევართა არმიას, რომელთაც მეტი გზა არ დარჩენიათ, გარდა შიმშილით ქუჩაში სიკვდილისა. ვაფრთხილებთ სამუშაოს მძებნელთ ნუ მოდიან აქ.

ა. ღილიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ახალი სხივის“ მე-13 ნომერში ვასო ურუშაძე სწერს: მე კიდევ ვიმეორებ, რომ მოწმობა, რომელზედაც ხელი უწერიათ გამგეობის წევრებს, ეშმაკურათ შექმნილი გახლავთო, რა საჭიროა ყველაფერი გამომჟღავნდესო. მე მგონია სიმართლე რომ ითქვას, თქვენ თითონ გაბმებით იმ მახეში რომელიც მოაწყეთ 24 ივლისს 1907 წ, ე. ი. მოწმობის მიღების დღესო“. მე დაჟინებით ვთხოვ ბ-ნ ურუშაძეს უყოველიგე ჩემი სიყალბე გამოამჟღავნოს და გამაბას იმ მახეში, რომელსაც ის ასახელებს, მე საზოგადოების წინაშე დასამალავი არა მაქვს-რა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერ სახელს ვუწოდებ.

არტისტი გ. მჭედლიშვილი.

---

ბ-ნო რედაქტორო! „მომავალი“-ს 122 ნომერში მოთავსებული იყო თავადი თათარხან დადეშკელიანის შესახებ წერილი ბ-ნ „დ“-სი და როგორც ეხლა გავიგე, ამ წერილის ავტორათ მე ვუყავარ თურმე ზოგიერთ პირთ წარმოდგენილი.

ამისათვის იძულებული ვარ სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო, პრესის საშუალებით მოვახსენო იმ ზოგიერთ პირთ, რომ მე განსვენებულის შესახებ არაფრის დაწერა არ განმიზრახავს და რომ განმეზრახოს, შეიძლება მე უფრო ვრცლათ და სინამდვილით აღმენუსხა განსვენებულის წარსული თუ აწმყო. ვიმეორებ, რომ ხსენებული წერილი ჩემი დაწერილი არაა, რასაც, დარწმუნებული ვარ, თვით რედაქციაც დამიმოწმებს *).

ლაჯანელი ბანოვანი.

*) რედაქცია ამოწმებს რომ აღნიშნული წერილი ლაჯანელ ბანოვანს არ ეკუთვნის.

რედ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


## განცხადება

1-ლი კავკასიის დეპო თესლეულობისა

**ლარშესი**

არსებობს 1872 წლიდან

№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10

**იყიდება**

**ახალი მოსავლის თესლეულობა**

გამოცდილი კარგის თვისებისა:

ბოსტნისა, ბალახისა და ყვავილებისა, ხეებისა.

და საუკეთესო საკვები კანარეიკებისათვის არეული გირვანქა ღირს 25 კაპ. (10—4)